ცოდნის კვლავწარმოება – ეკონომიკური ზრდისა და კონკურენტუნარიანობის მთავარი წყარო

ვერა ძველაია
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე:

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანია პოსტ-დოზირების საზოგადოების ჩამოყალიბება ინოვაციური წარმოების საფუძველზე. ეს უკანასკნელი პრინციპულად შეცვლის წარმოების როლს. მეცნიერება და განათლება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომელთა განვითარება განსაზღვრავს პროდუქციის ეფექტურობას და წარმოადგენენ საზოგადოებაში სამეცნიერო, ტექნიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესზე მამოძრავებელ ძალას.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური კაპიტალი, ინოვაციური განვითარება, ცოდნის კვლავწარმოება, ინვესტიციები.

REPRODUCTION OF KNOWLEDGE - THE MAIN SOURCE OF ECONOMIC GROWTH AND COMPETITIVEN

Vera Dzvelaia
PhD Student

RESUME

In the development of modern world economics, it is important to form a post-dosystem society based on innovative production. The latter in principle changes the role of human in production. Science and education, information technologies, the development of which determine the efficiency of production and represent the driving force of scientific, technical, economic and social progress in society.

Keywords: human capital, innovative development, reproduction of knowledge, investments.

ძირითადი ტექსტი

XXI საუკუნის I ათწლეული ეკონომიკაში ხასიათდება გარკვეული ცვლილებებით, კერძოდ, კი ახალი ცენტრების წარმოშობით (ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია), რომლებმაც მიაღწიეს ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპებს, მაშინ , როდესაც აშშ, იაპონია და ევროკავშირის ქვეყნები აღმოჩნდნენ სტაგნაციურ მდგომარეობაში.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანია პოსტინდუსტრიული საზოგადოების ფორმირება, რომელიც დაფუძნებულია ინოვაციურ წარმოებაზე. ეს უკანასკნელი პრინციპულად ცვლის წარმოებაში ადამიანის მდგომარეობასა და როლს, ასევე თვითონ წარმოების სტრუქტურასაც. ინოვაციური წარმოების საფუძველია მეცნიერება და განათლება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომელთა განვითარება განსაზღვრავს წარმოების ეფექტიანობას და წარმოადგენს საზოგადოებაში მეცნიერულ-ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის მამოძრავებელ ძალას.

განვითარებული ქვეყნების წარმატებები დაკავშირებულია ადამიანური კაპიტალის მაღალ ხარისხთან. ასეთ ქვეყნებში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 50 % -ზე მეტი დაკავებულია არა ფიზიკური, არამედ გონებრივი შრომით. მაგ, აშშ-ში, მსოფლიო ბანკის კვლევის თანახმად, ეროვნული სიმდიდრის 19 %-ს შეადგენს საწარმოო ფონდები (შენობები, მანქანა-დანადგარები), 5 %-ს- ბუნებრივი რესურსები, ხოლო 76 % მოდის ადამიანურ კაპიტალზე. დასავლეთ ევროპაში შესაბამისი მაჩვენებლებია 23, 2 და 75 %, რუსეთში კი — 10, 40 და 50 %.

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ უფრო გამოკვეთა ადამიანური კაპიტალისა და ეკონომიკის ინოვაციური სექტორის როლი და მნიშვნელობა. ქვეყნები, რომლებიც ხასიათდებიან ადამიანური კაპიტალის კონკურენტუნარიანობის მაღალი დონით, უფრო მარტივად გამოდიან კრიზისიდან და თან მოკლე დროში. ამდენად, ადამიანური კაპიტალის ახალი როლი ეკონომიკასა და მსოფლიოში, აუცილებელია, გადმოვიდეს ეკონომიკური თეორიის პერიფერიიდან ცენტრში. ადამიანური კაპიტალის კონკურენტუნარიანობის ამაღლების გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის მოდერნიზაცია.ადამიანური კაპიტალის თეორია, როგორც კვლევის დამოუკიდებელი ობიექტი, წარმოიშვა გასული საუკუნის 60-70-იან წლებში. პირველი თეორიები ეკუთნის ბეიკერს, შულცს, კენდრიკს, მინცერს. მოგვიანებით კი, კერძოდ, წინა საუკუნის 90-იან წლებსა და XXI საუკუნის პირველ ათწლეულში, ადამიანურ კაპიტალს თავიანთ ნაშრომებში განიხილავდნენ რუსი მეცვნიერებიც: ბაგრინოვსკი, ბელოუსოვი, გოილო, გორცი, დიატლოვა, დობრინინი, კაპელიუშნიკოვი და სხვები.

ადამიანური კაპიტალი არის ცოდნისა და უნარ-ჩვევების ერთობლიობა.ტერმინი პირველად გამოიყენა თეოდორ შულცმა, შემდეგ კი მისმა მემკვიდრემ — გარი ბეიკერმა განავითარა იდეა, ის ამტკიცებს ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების ეფექტურობას და ახდენს ადამიანთა ქცევის შეფასებას. ბეიკერმა ადამიანური კაპიტალი ორგანიზაციის კუთხითაც განიხილა, მისი აზრით მნიშვნელოვანია ორგანიზაციებში მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც განაპირობებს ორგანიზაციის კონკურენტულ უპირატესობებს. თანამშრომელთა დატრენინგება ფირმების ინტერესებში შედის, ამიტომ ისინი აფინანსებენ აღნიშნულ ტრენინგებს. ეს მიდგომა დღევანდელი მძაფრი კონკურენციის პირობებში განსა-

კუთრებით მნიშვნელოვანია და ბევრი ლიდერი ორგანიზაციის წარმატების განმსაზღვრელია მოწინავე ტექნოლოგიებთან და ინოვაციებთან ერთად.

ადამიანში ჩადებულ ინვესტიციებში იგულისხმება ინვესტიციები განათლებაში, უსაფრთხოებაში, ჯანმრთელობაში და სხვა.

თავდაპირველად ადამიანურ კაპიტალში მოიაზრებოდა მხოლოდ განათლება და პროფესიული უნარები. შემდგომში, თეორია გაიზარდა და, მსოფლიო ბანკის ექსპერტების შეფასებით, მოიცავს სამომხმარებლო ხარჯებს (ხარჯებს საკვებზე, ტანსაცმელზე, განათლებაზე, ჯანდაცვაზე).

ადამიანური კაპიტალი ფართო გაგებით — ეკონომიკური განვითარების, ოჯახისა და საზოგადოების განვითარების ძირითადი საწარმოო ფაქტორია. ადამიანური კაპიტალია ინტელექტი, ჯანმრთელობა, ცოდნა, პროდუქტიული და ხარისხიანი შრომა და ცხოვრების ხარისხი.

ადამიანური კაპიტალის კონკურენტუნარიანობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მისი განათლების ხარისხი.

წარმატებული ქვეყნების ფაქტორული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხარისხიანი ადამიანური კაპიტალის ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ კომპლექსური და სისტემური მიდგომის შემთხვევაში, როდესაც ერთდროულად ვითარდება ადამიანური კაპიტალის ყველა ფაქტორი. ლიდერთა ათეულში, ადამიანური კაპიტალის მაჩვენებლების მიხედვით, მოხვდნენ შვეიცარია, ფინეთი, სინგაპური, ნიდერლანდები, შვედეთი, ერმანია, ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი, დანია და კანადა.

კრეატიული ეკონომიკის პირობებში, როცა უწყვეტი განათლების სისტემის დანერგვა მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების უმთავრესი პირობა ხდება, ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის შეუზღუდავი რესურსების ამოქმედების, კრეატიულობის გარეშე წარმოუდგენელია სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიღწევა. ასეთ პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნაც თვითგანახლებად სისტემას წარმოადგენს, რომელშიც პარალელურად მიმდინარეობს ახალი ცოდნის შექმნისა და არსებული ცოდნის ნაწილის მორალური მოძველების პროცესები. მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის წლიდან წლამდე უცვლელი ოდენობით დატოვება, განმეორება იგივე იქნებოდა, რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ინოვაციების დანერგვის უგულებელყოფა, არადა XXI საუკუნე ხომ ისეთი საუკუნეა, სადაც ცოდნა განიხილება, როგორც ეკონომიკაში გადამწყვეტი , მისი კონკურენტუნარიანობის უმთავრესი პირობა. მიტომ საზოგადოება იძულებულია, სისტემურად განაახლოს ანუ აკვლავწარმოოს მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა. პროფესორი რევაზ შენგელია [1] კრეატიული ეკონომიკის პირობებში გამოყოფს მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების სამ ფორმას:

პირველი — არასრული, ნაკლული, შეკვეცილი ფორმის დროს ამა თუ იმ დარგის მუშაკი თავის სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას მთლიანად ვერ ფლობს. ცხოვრების განმავლობაში შეძენილმა ცოდნა-გამოცდილებამ უკვე ამოწურა თავისი ზღვრული სარგებლიანობა და "მორალური მოძველების" პროცესს განიცდის, რის გამოც იგი კონკურენტუნარიანი ვერ იქნება. ეს კი, როგორც კონკრეტული ადამიანისათვის, ასევე ქვეყნისთვის პრობლემას ქმნის, რადგანაც ეს მუშაკი ვერ გამოიყენებს ტექნიკური პროგრესით მიღწეულ შედეგებს და, მაშასადამე, ვერ იქნება უზრუნველყოფილი სამუშაო ადგილით და, მეორე მხრივ, ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს.

მეორე — მარტივი ფორმის დროს ამა თუ იმ დარგის მუშაკი თავის სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას თითქმის მთლიანად ფლობს, ინარჩუნებს საქმიან კონტაქტებს, დადებით იმიჯს და სამუშაო ადგილს, რის გამოც იგი კონკურენტუნარიანია მანამ, სანამ მის მიერ ცხოვრების განმავლობაში შეძენილი ცოდნა ამოწურავს თავის ზღვრულ სარგებლიანობას, "მორალური მოძველების" პროცესს დაექვემდებარება და ზიანს არც თავის თავს მიაყენებს და არც ქვეყანას.

მესამე — გაფართოებული ფორმის დროს ამა თუ იმ დარგის მუშაკი თავის სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას არა მარტო სრულყოფილად ფლობს, არამედ დამატებითაც, აქტიურად, დამოუკიდებლად მონაწილეობს მის შემოქმედებიტად განვითარებასა და დანერგვაში. თვით უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნაც კი სწრაფად ძველდება და ის, რაც ჯერ კიდევ გუშინ ურყევ ჭეშმარიტებად მიიჩნეოდა, შეიძლება, ახალ პირობებს აღარ შეესაბამებოდეს. მიტომ სპეციალისტს ჭირდება არა პასიური, არამედ დამოუკიდებელ, კრიტიკულ აზროვნებაზე დამყარებული ცოდნა. მესამე — გაფართოებული ფორმის დროს სპეციალისტს აქვს გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე ადაპტირების უნარი. ასეთი ადამიანი კი არ ეძებს სამუშაოს, არამედ სამუშაო ეძებს მას. შეიძლება, დაბეჯითებით ითქვას, რომ მხოლოდ ეს ფორმა არის დაკავშირებული შემოქმედებითობასთან, ახლებურ აზროვნებასთან , კრეატიულ ადამიანურ კაპიტალტან, როგორც თვითმზარდ ღირებულებასთან. კრეატიული ადამიანის, როგორც თვითმზარდი ღირებულების, გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, განვითარება და წინსვლა.

ადამიანური კაპიტალი არის მშპ-ის ზრდის საფუძველი, ინოვაციებთან და მოწინავე ტექნოლოგიებთან ერთად. ცნობილია, რომ კვალიფიციური მენეჯმენტის შემთხვევაში, ადამიანურ კაპიტალში ინვესტირებულიდან მიღებული მოგება თითქმის 2-ჯერ აღემატება ტექნიკაში დაბანდებულიდან მიღებულ სარგებელს. მიტომაც კომპანიები დიდ ყურადღებას უთმობენ ადამიანურ კაპიტალს, როგორც კონკურენტუნარიანობის მთავარ ფაქტორს. მაღალი ცოდნის მქონე თანამშ-

1 რევაზ შენგელია, კრეატიული ადამიანი, როგორც თვითმზარდი ღირებულება, ჟურნალი "ეკონომიკა", 7-8, 2016, გვ. 41-48.

რომელი კომპანიის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელია და, ამავდროულად, ინვესტიციების მიზიდვის ეფექტიანი ფაქტორია. თანაც სწორედ ადამიანები და მათი კრეატიული იდეები გახლავთ კომპანიის წინსვლის და მოგების საწინდარი.

იმისათვის, რომ ვიყოთ კონკურენტუნარიანები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე, აუცილებელია განათლება, რაც გულისხმობს ცოდნის მიღების უწყვეტობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ასევე, როცა სამუშაო ძალა კვალიფიციურია, ეს კიდევ უფრო მიმზიდველს გვხდის უცხოელი ინვესტორისათვის. თავის ცოდნას ადამიანი იყენებს მუშაობის პროცესში, სწორედ განათლებულ ადამიანს შეუძლია, შექმნას ინოვაციები და ქონდეს იდეები. ამიტომაც ინვესტიციები სწორედ ადამიანში უნდა ჩაიდოს , თანაც ისე, რომ შეესაბამებოდეს ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტემპებს. ქვეყანამ არ უნდა დაიშუროს სახსრები განათლებაში ჩასადებად, ამავე დროს განათლება უნდა წარმოადგენდეს საზოგადოებრივ სიკეთეს და არ უნდა განიხილებოდეს , როგორც ბიზნესი და ფულის კეთების საშუალება. სწორედ ეს გახლავთ სწორი მიდგომა განათლებისადმი. თანაც, ცოდნა და განათლება აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს ეკონომიკის მიმდინარე მოთხოვნებს და მომავალ სტრატეგიებს.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, ის ქვეყნები, რომლებიც ავითარებენ მეცნიერებას, განათლებას და ინფორმაციურ-კომუნიკაციურ ტექნოლოგიებს, მდგრად განვითარებას აღწევენ.

გასული საუკუნის 80-იან წლებში გაერომ შემოიღო ადამიანური განვითარების ინდექსი, რამაც მთლიანად შეცვალა შეხედულებათა სისტემა ქვეყნებისა და ადამიანების ცხოვრების დონეზე. ამ ინდექსის შემოღების შემდეგ ძირითად ფასეულობად ადამიანის შესაძლებლობათა სრულყოფა მიიჩნევა. ექსპერტთა შეფასებები ადასტურებს, რომ თანამედროვე პირობებში ეროვნული დოვლათის ძირითად კომპონენტს შეადგენს ადამიანური კაპიტალი. დამიანური კაპიტალის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევა, როგორც ინდივიდის, ისე სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელი და გარდაუვალია.

ფაქტია, რომ მხოლოდ ადამიანები ქმნიან ღირებულებას თავიანთი ცოდნისა და შეძენილი უნარების გამოყენებით.

ადამიანურ კაპიტალში ინვესტირება გულისხმობს ინვესტორის მხრიდან რაიმე სარგებლის მიღების ბუნებრივ სურვილს, როგორც საკუთარი თავისთვის, ისე მესამე პირებისთვისაც:

დასაქმებულისათვის — ეს გახლავთ მომატებული შემოსავალი, საკუთარი სამუშაოთი კმაყოფილების შეგრძნება, სამუშაო პირობების გაუმჯობესება, საკუთარი ღირსების გრძნობისა და საკუთარი თავისადმი პატივისცემის მატება და სხვა;

- დამსაქმებლისათვის — მწარმოებლურობის ზრდა, შრომის ეფექტიანობა.
- სახელმწიფოსათვის ეს გახლავთ მოქალაქეთა კეთილდღეობის, მთლიანი შემოსავლების, სამოქალაქო აქტივობის ზრდა.

ამასთან, ინტელექტუალური კაპიტალის დაგროვება გულისხმობს არა იმდენად ცოდნის მოცულობის ზრდას, რამდენადაც ამ ცოდნის კომპლექსურად გამოყენების უნარების ზრდა-განვითარებას, გარემო პირობების მუდმივ ცვლილებებთან შეგუებას საკუთარი თავის საკეთილდღეოდ.

კომპანიის ღირებულების შექმნაში ფიზიკური კაპიტალი უმნიშვნელოა, მთავარია ინტელექტუალური კაპიტალი. ინტელექტუალური კაპიტალის მაღალი დონე კომპანიის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელია და ინვესტიციების მიზიდვის ეფექტიანი ფაქტორია.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს , რომ ფირმის კონკურენტუნარიანობის ამაღლების, განვითარებისა და აყვავების ძირითად ფაქტორს წარმოადგენს პერსონალის ხარისხი, მისი შრომისადმი დამოკიდებულება ანუ თანამშრომელთა პროფესიონალიზმი და შემოქმედებითობა. წარმოების ინოვაციურმა ხასიათმა, მისი მეცნიერებატევადობის მაღალმა ხარისხმა, პროდუქციის ხარისხის საკითხის პრიორიტეტულობამ შეცვალა თანამშრომლისადმი დამოკიდებულება, გაზარდა მისი შრომისა და პროფესიონალიზმისადმი მოთხოვნები. ამიტომაც დღეს ფირმების სტრატეგიულ კურსს თანამშრომელთა განათლების, კვალიფიკაციის ეთიკის ხარისხისა და მათი პროფესიული დაოსტატების დონის ზრდა წარმოადგენს.

ადამიანური კაპიტალის თეორიის საფუძველზე მოახდინა შვედეთმა თავისი ეკონომიკის მოდერნიზება და 2000-იან წლებში დაუბრუნდა ლიდერის პოზიციებს მსოფლიო ეკონომიკაში. ფინეთმა კი მოკლე დროში შეძლო ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლა.

ამრიგად, ცოდნის ეკონომიკის მთავარ ბირთვს წარმოადგენს ადამიანი, მაგრამ ახლა განათლებული, შემოქმედებითი და ინიციატივიანი, რომელსაც აქვს პროფესიონალიზმის მაღალი დონე და განსაზღვრავს ძირითად წილს ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის შექმნაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რევაზ შენგელია, კრეატიული ადამიანი, როგორც თვითმზარდი ღირებულება, ჟურნალი "ეკონომიკა", 7-8, 2016, გვ. 41-48.

2. გურამ ჯოლია, კრეატიული განვითარება: განათლება, ცოდნა, ქმედება, მონოგრაფია, თბილისი, 2016

3. ირინა მუჯირი, ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია და ინოვაციური პროცესების აქტივიზაცია, თბილისი, 2016

4. ლაშარი ქურდაშვილი, ადამიანური კაპიტალის კომპონენტი ტრანსნაციონალური კომპანიების მართვაში, თბილისი, 2017

5. Ильинская Т. И. Теоритеческие основы формирования и обеспечения конкурентоспособности человеческого капитала в экономических системах инновационного тип, 2010.